წაგება სტუმრად

“ჩერნომორეცი” (ოდესა) – “დინამო” (თბილისი) 4:1 (2:1).

ოდესა. ცენტრალური სტადიონი. 15 ოქტომბერი.

“ჩერნომორეცი”: რომენსკი, რომანჩუკი (ნაკონეჩნი), სმოტრიჩი, იშჩაკი, პლოსკინა, ჟარკოვი, სახნო, შჩერბაკოვი, (ბაგაპოვი), პასულკო, ბელანოვი, შარიი.

“დინამო”: აბუსერიძე, კეტაშვილი, მახარაძე, ჭედია, არზიანი (მიქაბერიძე), კაკილაშვილი, სვანაძე, სულაქველიძე, გუცაევი, შენგელია (ცაავა), მესხი.

მსაჯი: კ. დორონინი (მოსკოვი).

დუბლიორები – 1:3. თბილისელთაგან ბურთები გაიტანეს ჟორჟიკაშვილმა, გოგრიჭიანმა და ჩქარეულმა.

ორივე გუნდისთვის ეს მეტად საპასუხისმგებლო მატჩი დაიწყო თბილისელთა იერიშებით. მართალია, კონტრიერიშებს მასპინძლებიც ახორციელებდნენ, ერთ–ერთ მომენტში შარიიმ ძელსაც მოახვედრა ბურთი, მაგრამ მე–14 წუთზე ჭედია–მესხის სწრაფი კომბინაცია დამთავრდა ამ უკანასკნელის ზუსტი დარტყმით – 1:0.

შემდგომში თამაში გათანაბრდა, 23–ე წუთზე კი სახნომ საპასუხო ბურთის გატანა შეძლო – 1:1. 28–ე წუთზე ბელანოვმა კარგად გამოიყენა იშჩაკის გადაცემა და დააწინაურა თავისი გუნდი – 2:1.

როგორც კი განახლდა თამაში შესვენების შემდეგ, 47–ე წუთზე სახნომ კვლავ კარგად შეარჩია ადგილი თბილისელთა კარის წინ და თავით გაგზავნა ბურთი მიზანში – 3:1.

ორბურთიანი უპირატესობა ასეთ მატჩში და ისიც მეორე ტაიმში საგრძნობი უპირატესობაა, თუმცა დინამოელები ერთხანს კიდევ აქტიურად თამაშობდნენ, ცდილობდნენ მდგომარეობის გამოსწორებას, მაგრამ 61–ე წუთზე სახნომ კიდევ ერთხელ გამოიჩინა თავი და მეოთხე ბურთი გაიტანა.

მატჩის ბედი ფაქტიურად გადაწყვეტილი იყო, ოდესელები უკვე ანგარიშის შენარჩუნებაზე ზრუნავდნენ, თბილისელთა რამდენიმე შეტევას შედეგი არ მოჰყოლია. “ჩერნომორეცმა” შეძლო მეტად საჭირო გამარჯვების შენარჩუნება.

ჩვენ, თბილისის “დინამოს” ქომაგებს, კარგად გვახსოვს გამარჯვებათა ის დიდი და ხანგრძლივი სერია, რომელთა წყალობითაც ერთობ არასახარბიელო მდგომარეობაში მყოფმა დინამოელებმა თავი დააღწიეს გათამაშების ცხრილის ქვემო ნახევარს და ლიდერთა შორის გადაინაცვლეს. ეს დამსახურებული წარმატება იყო. შემდეგ თბილისელებმა შინ წააგეს მეტად საპასუხისმგებლო მატჩი მოსკოვის ტორპედოელებთან და ახლა, ჩემპიონატში გარკვეული შესვენების შემდეგ, კვლავ დამარცხდნენ ოდესაში.

თბილისის “დინამოს” 19 ოქტომბერს მეტად მნიშვნელოვანი მატჩი აქვს კიევში, საჭიროა სრული მობილიზება ამ ძნელი თამაშისთვის, შემდეგ კი ჩვენი გუნდი შინ ბრუნდება და 2 და 12 ნოემბერს აქ მიიღებს როსტოვის არმიელთა გუნდს და მოსკოვის “დინამოს”.

“ლელო”, 16 ოქტომბერი, 1984 წ.